საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

NCDC 0 23 00149333

09/02/2023

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ ზურაბ აზარაშვილს

ბატონო ზურაბ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) მიერ, განხილულ იქნა კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონების დოკუმენტაციის კვლევის და სანიტარიული დაცვის ზონების პროექტის ანგარიში. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს:

„კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -5[1] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით კურორტ ბეშუმის სანიტარული დაცვის ზონების საზღვრების დაფიქსირება უნდა მოხდეს ადგილზე. სანიტარიული დაცვის ზონების აღწერა უნდა მოხდეს საზღვრების მიხედვით, ე.ი. საზღვარი სად გაივლის დაწყებული პირველი წერტილიდან ბოლო წერტილამდე, საზღვარი მიბმული უნდა იყოს ბუნებრივ საზღვრებზე, როგორიცაა ბილიკი, წყალგამყოფი, გზა, მდინარე და ა.შ. და ეს ყველაფერი გარდა კოორდინატებისა, ტექსტით უნდა იყოს ასახული;

„კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე -3 თავის მე-10 მუხლის თანახმად საჭიროა პირველი ზონის საზღვრების დადგენა: ა) მინერალური წყლების გამოსასვლელებისა და ჭაბურღილებისათვის – მათი ბუნებრივი დაცვის ხარისხის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ 15 მეტრისა, ჭაბურღილისა და გამოსასვლელის კონტურიდან; ბ) სამკურნალო ტალახის საბადოებისათვის – საბადოს ბუნებრივი დაცვის ხარისხის, ტიპისა და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით, მაგრამ არანაკლებ 25 მეტრისა საბადოს ნულოვანი საზღვრიდან ან წყალსაცავის მრავალ- წლიური მაქსიმალური დონიდან;

პროექტში აღნიშნულია მეორე ზონის საზღვრების დადგენა ჰიდროდინამიკური და სხვა ფაქტორებით, მაგრამ არაუმეტეს 500 მეტრისა პირველი ზონის საზღვრებიდან, ეს უნდა მოხდეს საჭიროების შემთხვევაში და სწორედ ეს საჭიროება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც წარმოდგენილ ვერსიაში დასაბუთებული არ არის;

იმ შემთხვევაში თუ კურორტს გააჩნია სამკურნალო ფაქტორები აუცილებლად უნდა მოხდეს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების დახასიათება, ასევე სამკურნალო ფაქტორის (მინერალური წყალი, თიხა და ა.შ.) დახასიათება და ქიმიური ანალიზი;

სანიტარიული ზონების დადგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ''კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნები და გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილის რელიეფი და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

წარმოდგენილი არ არის ინფორმაციები, რომლებიც რეკომენდაციების შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა, კერძოდ:

- რომელი ლაბორატორიის მიერ არის ჩატარებული მინერალური წყლის და თიხის კვლევა სამედიცინო და ფარმაცევტულ

პრაქტიკაში გამოყენების მიზნით,
- რომელ ლაბორატორიაში განხორციელდა სტაფილოკოკის და ნაწლავის ჩხირის ანალიზი,
-სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევის შედეგები;
- როგორ მოხდება საკანალიზაციო ჩამდინარე წყლების მართვა;
· კურორტ ბეშუმის ნარჩენების მართვის გეგმა.

კურორტ ბეშუმის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების განაშენიანება, გავლენას მოახდენს იმ ფაქტორებზე, რომლებიც პორდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე. ეს ფაქტორებია:
- ჯანსაღი ცხოვრების წესი.
- სოციალური დაცულობა (უსაფრთხო საფეხმავალო გადასასვლელი, დაბალი მოძრაობის სიჩქარე საცხოვრებელი ადგილების მიმდებარედ, ხმაურის შემცირება, ქუჩის განათება).
- დასასვენებლი, ტურისტული და საცხოვრებლის ხარისხი (გარემო, სამშენებელო მასალები, საცხოვრებლის განლაგება, შენობის ორიენტაცია მზის პირდაპირი სხივების შესაბამისად და ა.შ).
- სამუშაო ადგილების, განათლების და საყოფაცხოვრებო მომსახურების (აფთიაქი, მაღაზიები, ბაკნები და ა.შ.) ხელმისაწვდომობა,
- ატომოსფერული ჰაერის დაბინძურება და ზოგადი სურათი (ჰაერის დაბინძურების წყაროებში, ე.ი. საგზაო ტრანსპორტი, მწვავე ტერიტორიების განვითარება, ხმაურის შემცირების ღონისძიებების განხორციელება).
- წყლის მოხმარება და ჩამდინარე წყლების შეგროვება,
- ნიადაგის ხარისხი (დაბინძურების გაწმენდა, მწვანე ტერიტორიების შენარჩუნება).
-საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების აღწერა და გავლენის მნიშვნელობის შეფასება, რისკ-ფაქტორების ზემოქმედებით დაზარალებული ტერიტორიების და უბნების იდენტიფიცირება.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეების საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინება,
-მონიტორინგი, შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია სამომავლოდ გათვალისწინებულ იქნეს ადგილზე მომსახურე პერსონალის, დამსვენებელთა და ტურისტების სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხი. ახალი უბნების სივრცითი მოწყობის დაგეგმარებისას დროული და ხასისხიანი სამედიცინო დახმარების გაწევა, საკურორტო და ბალნეოლოგიური დანიშნულების მქონე შენობების დაგეგმარება, რომლთა მშენებლობაც დაგეგმილია I-სანიტარიულ ზონაში.

წარმოდგენილ პროექტში მოცემულია მწირი ინფორმაცია სარეკრეაციო ტერიტორიის წყალმომარაგების შესახებ, რაც არ მოიცავს მისი გაფართოების შესაძლებლობას განაშენიანება/განვითარების ახალ ტერიტორიებზე. არ მოიცავს ინფორმაციას წყალმომარაგებისათვის მოეწყობა თუ არა დამოუკიდებელი ავტონომიური სისტემა, რომელიც საკურორტო სასტუმროებს მიაწოდებს უსაფრთხო სასმელ-სამეურნეო წყალს სათანადო რესურსით, ან/და შეიქმნება თუ არა ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემა კლიმატური პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილ პროექტში არ არის გათვალისწინებული არსებული წყალმომარაგებისა და სანიტარიის, წყალარინების პორობების საკითხის დეტალური შესწავლა (წყალმომარაგების ტიპები, სასმელი წყლის ხარისხი, უწყვეტობა, ხელმისაწვდომობა, მონიტორინგი და ა.შ.), ანალიზი და მისი გაფართოების შესაძლებლობები განაშენიანების ახალ ტერიტორიებზე და მდინარეების დაცვა დაბინძურებული საკანალიზაციო ჩამდინარე წყლებით. აუცილებელია შეირჩეს ყველაზე რელევანტური ღონისძიებები წყალმომარეგბისა და სანიტარიის გასაუმჯობესებლად გრძელვადიან პერსპექტივაში.

წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის საკმარისად მითითებული ინფორმაცია თუ დაგეგმილი ღონისძიებები რამდენად შეუწყობს ხელს ატმოსფეროში სათბურის გაზების ემისიის შემცირების ფაქტორს, როგორც კლიმატის ცვლილებების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს (კლიმატის ცვლილების პირობებში ბუნებრივი საფრთხეების ზემოქმედების პრევენციას, შემცირებას და მართვას), კლიმატის ცვლილების ზემოქმედებების ზოგად შეფასებას ტურიზმზე, კლიმატის ცვლილებებზე რეაგირებას და სხვა. ასევე, კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაციისა და ჯანმრთელობის ზიანის შემცირების ღონისძიებებს და მონიტორინგის ინდიკატორებს. ყოველივე ეს მოითხოვს დეტალიზაციას. ასევე, უნდა იყოს ინფორმაცია ბუნებრივი კატასტროფების დროს სასმელი წყლის სარეზერვო მარაგის შესახებ.

შენიშვნები არსებობს ენერგოეფექტურობასა და განახლებადი ენერგიის გამოყენების საკითხთან მიმართებაშიც. სანიტარიული დაცვის ზონების დადგენის შემდეგ, როგორ და რა რესურსებით მოხდება ენერგიის ალტერნატიული („ეკოლოგიური“) წყაროების (განსაკუთრებით მზის) ფართოდ გამოყენება საზოგადოებრივი და კერძო საკუთრებაში არსებული შენობებისთვის (შინამეურნეობებში). როგორ იქნება რეალიზებული ენერგოდამზოგავი მშენებლობები და რა მასშტაბით და რა რესურსებით მოხდება განახლებადი ენერგიის გამოყენება.

დასკვნა:

კურორტ ბეშუმის სანიტარიული დაცვის ზონების დოკუმენტაციის კვლევის და სანიტარიული დაცვის პროექტის შემდგომი განხილვის მიზნით მასალები წარმოდგენილ უნდა იქნეს წინამდებარე შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი
თამარ გაბუნია

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად